საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორთაბაგათი, 4 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 8 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 8

ხელისმომწერთ

გაზეთ „ახალი კომუნისტის" კანტორა გიცხადებთ რომ გაზეთზე ხვედრი ხელმოსაწერი ფული პირველ აგვისტომდე შემოიტანოთ. ვინც პირველ აგვისტომდე არ შემოიტანს, გაზეთი არ გაეგზავნება. ფული მხოლოთ შემდეგი მისამართით მიიღება: „ახალი კომუნისტის" რედაქცია და კანტორა რაჟდენ თომას ძე კალაძეს, პასკევიჩის ქუჩა № 3.

გაზეთ „ახალი კომუნისტის" კანტორა.

კორესპოდენტების საყურადღებოთ

მოგვაწოდეთ მოკლე შინაარსიანი წერილები. აღნუსხეთ ფაქტები ადგილობრივი და მუშათა ცხოვრებიდან. წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე სუფთათ და გასაგებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიბეჭდება. პასუხისმგებელ კორესპონდენტებს უფასოთ გაეგზავნებათ ჩვენი გაზეთი. გამოგზავნეთ თქვენი მისამართი.

ჩვენი ტყვე—ამხანაგების მოთხოვნა

ქვემოთ ჩვენი მკითხველი ნახავს ქუთაისის საკატორღო ციხის პატიმარ-კომუნისტების განცხადებას მთავრობის თავმჯდომარისადმი მიმართულს. თითქმის ასი მოქალაქე—კომუნისტი (მათ შორის მხოლოდ ხუთიოდე ყოფილა უპარტიო) მეორე თვეა რაც ციხეში არიან ჩაყრილნი და აქამდის არ იციან—რა საბუთით, რომელ მათი დანაშაულობის ან ბოროტმოქმედების გამო. ასეთივე მდგომარეობაში არიან დემოკრატიული რესპუბლიკის დანარჩენ ციხეებში გამოკლეტილი ჩვენი პარტიის წევრებიც, უფლებრივი გარანტია მათზე არ ვრცელდებოდა ალბად, როცა მათ ბაწრავდენ და ციხეებში ისტუმრებდენ, მაგრამ ასეთ გარანტიის გახსენებასაც აღარ ფიქრობენ ალბათ მათი გამბაწვრელები, როცა მეორე თვეშიაც კანონით ხელში არ შედიან მათ ბნელ, ნოტიო და ხვეულ რკინის კარ—ფანჯრიან საკანში და მკაცრ სამართალს, თუმც შჩეგლოვიტოვების ნაანდერძევ სამართალს, მარა მაინც სამართალს არ ამოქმედებენ. რატომ? ან უხეში შურისძიების გრძნობით ან და ირავითარი საბუთის უქონლობით. ვიცით, შურისძიების ბალღმით აღსავსეა ბევრი პატონ-პატრონი დღევანდელი ჩვენი ცხოვრების, მარა ამ შემთხვევაში მას ვერ გავხდით ამ უმგვანო მოვლენის ახსნა-გაგების ძაფად. უფრო ნამდვილია და სწორი მეორე მოსაზრება: ჩვენი პარტიის ლეგალურ ასპარეზზე მოთმენა არც სასურველია მმართველ პარტიისთვის და სახიფათოც, ამიტომაც ოდნავ განიავებული, მხოლოდ 13 მაისს მიტოვებული ციხის კამერები ხელახლა გაიღო ჩვენი ამხანაგებისთვის, შემდეგ მაგრათ გადირაზა და მართლმსაჯულების პარტიერ მოსაზრებაც დავიწყებას მიეცა: არ არის საბუთები ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, არ არის საბუთები ჩვენი ტყვე-ამხანახების კანონიერათ გასაბაწრავათ; და მეტი გზა არ დარჩენიათ—უნდა შეაფარონ თავი ჩვენმა პროკურორებმა დემაგოგიურ ცილისწამებას და სულისმაცხონებელ სიკრუეს. შეიძლება ეს მეტს მეტათ სასიამოვნო იყოს მენშევიკებისთვის, მარა შეუძლებელია ამას შეურიგდეს და აიტანოს არა თუ რეაქციონერმა, არამედ უბრალო ადამიანურ ღირსების პატრონმა მოქალაქემ, ჯგუფმა თუ კოლექტივმა, რომელსაც არ ეშინია და არც რცხვენია თავისი ჩადენილის, არ ეშინია პასუხისმგებლობის, ოღონდ მოსთხოვონ მათ ეს პასუხი, ოღონდ ქვის ტომარაში ჩაგდებულებს, პირში ბურთს ნუ ჩასჩრიან. და აი ჩვენი ქუთათური ტყვე—ამხანაგებიც საქვეყნოთ აცხადებენ: მზათ ვართ სასამართლოს წინაშე წარვდგეთ, მზათ ვართ მკაცრი და სუსხი კანონის მახვილს კისერი შევუშვიროთ, მოგვეცით მხოლოდ საშუალება, ნუ გვართმევთ ძალადურათ ყოველი ადამიანის უფლების ნამცეცსაც, წამოგვიყენეთ ბრალდება, თორემ ჩვენ მეტი იარაღი არ დაგვრჩენია, გარდა შიმშილობისა, ამ საშინელი ფორმის პროტესტისა, ამ ნელი თვითმკვლელობისა!

ნუ თუ ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდება, ასეთ უბრალო რამის მიღება პოლიტიკურ პატიმარს მხოლოდ შიმშილობით უნდა შეეძლოს? ნუ თუ ასაშფოთებელი არაა თვით ასეთი მდგომარეობა იმ კუთხეში, რომლის გამგეები ფიცულობენ, რომ მხოლოდ შეთქმულობის მომწყობნი გვყავს დაჭერილიო! ბატონებო, —მიუგებს ამაზე ჩვენი ამხანაგების განცხადება,—თუ ჯაშუშური ხრიკების და გარეწართა მიერ ბნელ სოროებში შეთითხნილ ჭორების გარდა თქვენ გქონდათ ჩვენს წინააღმდეგ რაიმე გამამტყუნებელი საბუთი, სად იყავით მთელი თვე? და თუ მთელი თვის განმავლობაში თქვენ ვერ მობოჭეთ ვერავითარი ბრალდება, ვალდებული ხართ ციხის კარები გაგვიღოთ და გაგვათავისუფლოთო! ყოველი რევოლიუციონერი, ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი, ყოველი პატიოსანი მოქალაქე გაიზიარებს ჩვენი ტყვე-ამხანაგების მოთხოვნას.

ადგილობრივი პრესა

„ერთობა" ეხება ჩვენს განმარტებას გაგრის ოლქში დაჭერილ კომუნისტების „არალეგალურ" მუშაობის დამამტკიცებელ „საბუთების". შესახებ. გაზ. სწერს:

„ამას წინათ ჩვენ მოვიყვანეთ ჩვენებური კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების არა-ლეგალური მუშაობის ისეთი ნიმუშები, რომლის წინააღმდეგ, ჩვენის რწმენით, თვით „კომუნისტიც" ვერას იტყოდა. მაგრამ „კომუნისტი" მაინც „არღვევს" ამ ფაქტებს. ბათომის ორგანიზაცია, ამბობს იგი, ინგლისის ოკუპაციის დროს მოქმედებდა არა-ლეგალურად. სოხუმის საოლქო კომიტეტის ცირკულიარი ფარული ორგანიზაციების მოწყობის და ფარული მუშაობის გაძლიერების შესახებ ეხებოდა იმ დროს, როდესაც საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის არ იყო დადებული ხელშეკრულობა. მაგრამ ვეკითხებით „კომუნისტს": სოხუმის ორგანიზაციამ, ხელშეკრულობის დადების შემდეგ გააუქმა თუ არა, ეს ცირკულიარი? თუ არ გააუქმა, მაშ ის ძალაში ყოფილა და მისი პასუხისმგებელია როგორც კომუნისტური პარტიის სოხუმის კომიტეტი, ისე ამ პარტიის ც. კომიტეტიც—პასუხის-მგებლობას ვერსად წაუხვალთ".

მოგახსენებთ: პასუხისმგებლობას, როგორც პოლიტიკურს ისე კანონის და სასამართლოს წინაშე ჩვენ არ გავურბივართ და ვკისრულობთ საკუთარი, რაც უნდა აღმაშფოთებელი არ უნდა იყოს ჩვენთვის თვით ფაქტი პასუხისმგებლობისა მას შემდეგ, რაც ჩვენი ლეგალიზაცია უნდა მომხდარიყო ცნობილ პირობებით. რაც შეეხება ცირკულიარის **ფორმალურათ** გაუქმებას შესაძლებელია ეს არ მომხდარიყოს, მარა **ფაქტიურათ** ის ყოველ ეჭვს გარეშე გაუქმებული იყო მას შემდეგ, რაც რომ სოხუმის ოლქამდის მიაღწია ჩვენი პარტიის „ლეგალიზაციის" ამბავმა. ამას მოწმობს თუნდა ის გარემოება, რომ არავითარ არალეგალურ მუშაობას და მით უმეტეს გამოსვლას არ ქონებია ადგილი სოხუმის ან გაგრის ოლქში და საერთოდ მთელს საქართველოში. ამასვე ადასტურებს განმარტება სოხუმის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის განმარტება, რომელიც ჩვენს გაზეთში იბეჭდება დღეს.

ბოლოს გაზეთს, მოყავს რა ჩვენი დაფასება, როგორც „არა პარტიული საქციელის", იმ გარემოების, რომ არ არსებული „რევკომის" ბეჭდის დასმით გაუცია ჩვენს ამხანაგს უბრალო დოკუმენტი (თუ კი მართლა გაუციათ—ვუმატებდით ჩვენ), გაზეთი დასძენს:

„ამგვარად კომუნისტებს „არა პარტიული საქციელი ჩაუდენიათ", ეს საქციელი, „კომუნისტის აზრით „ჩუტე და უშინაარსო" ყოფილა. ასე არბილებს „კომუნისტი" იმ ამხანაგების საქციელს, რომლებიც საქართველოს ჯარში გამხრწნელ აგიტაციას ეწეოდენ და საქართველოზე თავდასხმას ამზადებენ: ასეთი რბილი მოპყრობა ამ დიდ ბოროტ მომქმედთა მიმართ იმის მაჩვენებელია, რომ თვით „კომუნისტიც" შორს არ ყოფილა მათ მოქმედების თანაზიარობისაგან."

თუ მიზნათ გაქვთ ბატონნბო მაინც და მაინც ჩვენზედაც მოხვევა იმ „საშინელ დანაშაულის", ჩვენ გაგიადვილებთ ამ კეთილშობილ საქმეს და მოგახსენებთ: რაც უნდა შორს ვიდგეთ ჩვენი განაპირა ორგანიზაციების „დანაშაულიდან", ჩვენ მაინც უარს არ ვიტყვით პასუხისმგებლობის გაზიარებაზე. მარა თუ თქვენ ვალდებულათ მიგაჩნიათ თავი ჭეშმარიტება გამოიკვლიოთ და ფაქტიური სინამდვილე არ გათელოთ, უნდა დაგვეთანხმოთ, რომ ჩვენი „სირბილე" ხელჩასაჭიდი არ არის, ვინაიდან ეს სირბილე მხოლოდ იმის შედეგია, რომ არავითარ არალეგალურ მუშაობას არ ქონია ადგილი, ადგილი ქონებია მხოლოდ „არა პარტიულ საქციელს", თუმცა სოხუმის საოლქო კომიტეტის განმარტება ამ „საქციელსაც" უარყოფს.

საბჭოთა რუსეთის პრესა

მიმდინარე მომენტი და „სამშობლოს პრობლემა"

მსოფლიო ომის დასაწყისში ხალხის უფართოეს წრეებს—თვით მუშებამდის—„სამშობლოს დაცვის" ლოზუნგი იმდენათ მარტივი, ახლობელი და გასაგები ეჩვენებოდათ, რომ ადამიანი არც კი ცდილობდა ამ ცნების სავსებით განმარტებას. „რუსეთი", „საფრანგეთი", „ინგლისი", „გერმანია"—აი „სამშობლოები", და თითეული რუსი, ფრანგი, ინგლისელი და ნემეცი ვალდებული იყო დაეცვა სათანადო ერთეულები. ასეთ განმარტება-გაგებას განსაკუთრებით და დაჟინებით მოითხოვდენ ბურჟუაზიის წინამძღოლები და მოქადაგეები; მათ უხმატკბილდებოდენ სოციალ-პატრიოტები; ამ უკანასკნელთ მისდევდა მუშების ძლიერ დიდი ნაწილი. კაცობრიობა გაიყო სხვა და სხვა მშობლიურ საფარეხოებათ და წარმოუდგენელი გააფთრებით ჟლეტდენ ერთმანეთს. მარა, თუმც ეს დაუჯერებელია, სამშობლოს შესახებ წარმოდგენა მეტისმეტი ბუნდოვანი ქონდათ. მართლაც, რა იგულისხმებოდა ამ სიტყვაში? განა მიწა, მდინარეები, ენა, ჩვეულება-ადათი, სახელმწიფო, ფაბრიკები? ან და ყველა ეს ერთად, დომხალივით არეული? არა, აქ ყოველივე ბუნდოვანი იყო, გაურკვეველი, მარა მიუხედავათ ამისა, მაინც ფსიხოლოგიურათ „გასაგები".

საინტერესოა ახლა დავინახოთ, თუ რას ამბობენ, ქადაგებენ და აკეთებენ ახლა ასეთი განმარტება-გაგების მომხრეები ბურჟუაზიის ბანაკიდან?

ყველაზე უკეთ ეს რუსეთის ბურჟუაზიის მაგალითზე სჩანს.

და მართლაც, გადავხედოთ საერთოდ მდგომარეობას. ამ ჟამათ საბჭოთა რუსეთს თავისი სივრცით, თავისი ტერიტორიით უკავია უმეტესი ნაწილი ყოფილი იმპერიის. ჩვეულება-ადათები, ენა, ფაბრიკები, მდინარეები და ყავილები ყველა მოქცეულია მის ფარგლებში. საბჭოთა მთავრობა აერთიანებს ტერიტორიის დაქსაქსულ ნაწილებს, როცა ის სცემს დენიკინს, კოლჩაკს, იუდენიჩს, უცხოელ იმპერიალისტებს, პოლონელებს და სხ. საფიქრებელი იყო, რომ სამშობლოს მესაყვირეები—მილიუკოვები, როდიჩევები, გუჩკოვები და სხვ.—სიხარულით უნდა აღვსილიყვენ ასეთი აღორძინებით. საფიქრებელი იყო, რომ ისინი უნდა გახარებულიყვენ, რომ რუსეთმა გიგანტური გავლენა მოიპოვა როგორც დასავლეთის ისე აღმოსავლეთის ხალხებზე--ოსმალებზე, ინდუსებზე, სპარსელებზე, ავღანელებზე; გერმანელ, ფრანგ, ინგლისელ, იტალიელ მუშებზე და რამდენიმეთ გლეხებზედაც.

ხომ არასოდეს არ ქონია რუსეთს მოხვეჭილი ასეთი გრანდიოზული სიმპატია კაცობრიობის ფართო მასსებში, როგორც ახლა.

მარა დახეთ უბედურებას! ვერ მოგართვესო! ყველა რუსის „პატრიოტები" ხმა ჩახრინწული ღმუიან ამ რუსეთის გავლენის საშიშროებაზე. ყველა ისინი მზათ არიან შეკრან კავშირი (და კიდეც უკავშირდებიან) რუსეთის წინააღმდეგ ვისთანაც არ უნდა იყოს. გუჩკოვი—ბერლინშია ნემეც გენერლებთან, როდიჩევი ვარშავაში—პოლონელ ყაჩაღებთან, კიევის და ბორისოვის მკვლელებთან. მილიუკოვი--ოსტზეის ნემეც-ბარონთან, ვრანგელთან. ყველა ისინი, ერთად და სათითაოდ, ფრანგებთან, ინგლისელებთან, ამერიკელებთან და იაპონელებთან არიან, ე. ი. ამ ქვეყნების მთავრობებთან. სადღაა აქ ლოღიკა? სად გაქრა სამშობლო? სად გაქრენ ადათები, მდინარეები, პუშკინი, ენა და სხვა ყოველივე, რასაც ისინი უგალობდენ? რატომ ოფლში იწურებიან ეს ვაუბატონები და ცდილობენ ჩაძვრენ რუსეთის ჯიბეში, შეუკავშირდენ ვისაც გნებავთ, ოღონდ კი საქმე წაუბილწონ რუსეთს და მოუგდონ ის? სად გაფრინდა უწინდელი დამოკიდებულება სამშობლოსადმი? რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ ბუნდოვანი ცნება სამშობლოსი ბუშტივით გასკდა. გამოდგა, რომ „საერთოდ სამშობლო", „სამშობლო", საზოგადოთ **არც არსებულა და არც არსებობს**. ეს ძალიან კარგათ გამოსთქვა ამას წინათ ერთმა თეორგვარდიელ ლიტერატორმა, „მერეჟოვსკი-გიპიუს-ფილოსოფოვ"-ის სამებიდან: „უკეთესია პატარა რუსეთი, მარა უბოლშევიკებოთო". ეს ფორმულა ერთბაშათ ამზეურებს ყველა მათ ზრახვებს. გამოდის, რომ საქმე ყოფილა—სახელმწიფო ძალა-უფლებაში, და როცა იცავენ სამშობლოს, იცავენ განსაზღვრულ სახელმწიფო ძალა-უფლებას. „საზოგადოთ სამშობლო" არ არსებობს; შესაძლებელია სამშობლო ბურჟუაზიული, პომეშჩიკების, ბურჟუაზიულ-პომეშჩიკური, მუშური, მუშურგლეხური, მარტო გლეხური. მარა არ არსებობს ბამშობლო „საზოგადოთ", რიგორც არ არსებობს მთავრობა „საზოგადოთ", არამედ არის ძალა-უფლება **კლასების**, ხან ერთის და ხან მეორის. როცა ძალა-უფლება პომეშჩიკების და ბურჟუაზიის ხელში იყო, მაშინ კულტურაც ისე, როგორც მიწა ყავილებითურთ, ფაბრიკები მანქანებითურთ აგრეთვე პომეშჩიკების და კაპიტალისტების ხელთ იყო. მათ ქონდათ სამშობლო, მუშებს კი—არ ქონდათ. როცა ძალა-უფლება მუშების ხელში გადავიდა, მუშებისვე ხელში გადავიდა ფაბრიკა-ზაოდებიც, გლეხმა დაეპატრონა უმეტეს ნაწილს მემამულეთა მიწებისას, „კულტურა" (სკოლა და სხ.) ღარიბ-ღატაკთა განკარგულებაში აღმოჩნდა. პროლეტარიატს გაუჩნდა სამშობლო, ხოლო ბურჟუაზია-მემამულეებს ის დაეკარგათ. ამიტომაც ახლა ბურჟუაზიას ფეხებზედაც კიდია რუსეთი: რუსეთი ხომ მშრომელთა სამშობლო გახდა.

ასეთი „სამშობლოს" წინააღმდეგ ისინი იბრძოლებენ ტ კავშირით შეეკვრიან თუ გინ ქაჯსაც. ყველაფერი ნებადართულია რუსეთთან ბრძოლის დროს, ვინაიდან რუსეთი ახლა—საბჭოთა ქვეყანაა. უმჯობესია პატარა რუსეთი, მარა უბოლშევიკებოთ". უმჯობესია რუსეთის დაქუცმაცება პატარა ნაჭრებათ, ოღონდ მუშები და გლეხები მოგუდულ იქნენ. აი როგორ ფიქრობენ და მსჯელობენ კაპიტალისტები. და როცა ისინი ასე ფიქრობენ, ეს სწორია კაპიტალის თვალსაზრისით. ასევე სწორია მუშის თვალსაზრისით საბჭოთა რუსეთის დაცვა და ბრძოლა ბურჟუაზიის და მემამულეების რუსეთის წინააღმდეგ ყველაფერი აშკარა და მარტივი შეიქნა. ძველებური ბურუსი გაიფანტა. დარჩა უმთავრესი: ცნება კლასიური ბრძოლის, კლასიური ხასიათი სამშობლოისა, რომელიც დომხალი კი არაა, არამედ უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება განსაზღვული კლასის.

რას ფიქრობენ შუათანა კლასები, ინტელიგენცია და სხ. ? მათთვის ჯერ კიდევ საკითხი არაა ნათლად გარკვეული, მარა ბევრი უკვე იწყებს ძირითადი მოვლენის გაგებას: პროლეტარიატი გაწვალებით, მარა მაინც მოაწესრიგებს ცხოვრებას. ბურჟუაზია წვალებითვე დაიღუპება. ამის გამო ეს ჯგუფები თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათანობით გადმოდიან პროლეტარიატის მხარეზე. და ისინი სწორათ იქცევიან საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით.

თუ ყოველივე ზემომოყვანილი სწორია, ადვილი საქმეა, იმის გადაწყვეტა, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა დაიჭიროს პროლეტარიატმა მიმდინარე მოვლენებთან. სწორი და მართალი ფორმულა აქ ასეთი უნდა იყოს: ინგლისის, იტალიის, პოლონეთის და სხ. პროლეტარიატმა უნდა ებრძოლონ თავის საკუთარ ბურჟუაზიულ „სამშობლოს“ და ყველა თავისი ძალებით დაეხმარონ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას. თუ კი მსოფლიო ომის დროს, როცა ერთმანეთს ეომებოდენ მხოლოდ ბურჟუაზიული სამშობლოები, თითეული ქვეყნის პროლეტარიატს უნდა ებრძოლა საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ხოლო არას შემთხვევაში არ უნდა შეეწყო ხელი მოწინააღმდეგე მხარისათვის, სამაგიეროთ ახლა თითეული მუშათა კლასი, თუ კი მას ნამდვილათ შეუგნია თავისი მდგომარეობა, ვალდებულია უშუალოთ დაიჭიროს დამოკიდებულება პირველ პროლეტარულ სამშობლოსთან, რათა დაეხმაროს მას კაპიტალისტურ სამშობლოების აფეთქებაში.

აი მაგალითი: პოლონეთის მუშებმა ახლა პირდაპირ დახმარება უნდა გაუწიონ წითელ არმიას, ყოველი ღონე იღონონ, რათა გაუადვილონ მას გამარჯვება. რაღა თქმა უნდა, ბურჟუაზია მათ სასტიკ დევნას დაუწყებს ამისთვის. მარა პროლეტარიატის ამოცანაა-ბურჟუაზიის დამხობა და არა მისი დახმარება. ვისაც ეს არ ესმის ის რევოლიუციონერი კი არა, უბრალო ბურჟუაზიული პატრიოტია.

მუშათა კლასის ბრძოლის წინაშე უდიდესი ამბების პერსპექტივები იხსნება საერთაშორისო მაშტაბში. პროლეტარიატის ერთ-ერთ შემადგენელ ძალას წარმოადგენს წითელი არმია. აი რატომაა ყოველი შეგნებული მუშა ვალდებული დაეხმაროს მას, გინდ ბურჟუაზიულ სამშობლოს წინააღმდეგ.

ნ. ბუხარინი

(„პრავდა“ № 150).

რის შესახებ ფურჩულობენ ისინი ჩვენს მტრებთან?

თეთრგვარდიელთა გაზეთი „ნოვაია რუსკაია ჟიზნ“ იტყობინება:

„საქართველოს კონსულმა სევასტოპოლში დ. უ. ბარამიძემ ინახულა სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი გენ. ვრანგელი. კონსულის მისალმების საპასუხოთ მთავარსარდალმა იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა არ დაიჩრდილება წვრილმან კონფლიქტებითო“.

მენშევიკები არ ღალატობენ თავის ბუნებას. ფონ-ბარონის სწრაფ წარმავალმა გამარჯვებამ თავბრუ დაასხეს მათ. ვრანგელის გამოძრობამ ყირიმის ბუნაგიდან აღაფრთოვანა მენშევიკები და ორიენტაცია შეაცვლევინა საბჭოების სიწინააღმდეგო ძალთა სასარგებლოთ. ქართველი მენშევიკები თავს იზღვევენ თეთრგვარდიელების გამარჯვების შემთხვევისათვის.

როგორც ფინეთის თეთრმა მთავრობამ მეტის-მეტი აჩქარდა როცა უკრაინაზე იცნო გეტმან პეტლიურას მთავრობა, ისე ჟორდანიას მთავრობაც ცოტათი ჩქარობს ვრანგელის გულის მოსაგებათ. ახლობელი დღეები დაანახვებენ მენშევიკებს, რომ მათ მართებსთ კეთილმეზობლური ურთიერთობისგამაგრება არა განადგურებაზე განწირულ თეთრ გენერალთან, არამედ წითელ მუშურ-გლეხურ რუსეთთან.

საბჭოთა დიპლომატიამ შესაფერისად უნდა დააფასოს პირმოთნეობა და ორმაგი თამაში ქართველ მენშევიკების.

ლ. სოსნოვსკი, („პრავდა“ № 154, 15 ივლისი).

კვალ და კვალ.

5. ძველი და ახალი

მენშევიკების გაზეთ „ბორბის“ № 157 მოთავსებულია რენეგატ კაუცკის მეტად ღირსშესანიშნავი წერილი, რომელიც ეხება სოციალიზმისთვის საჭირო პირობებს და გზას და მასთან დემოკრატიულ მეთოდებს. საუბედუროთ ეს წერილი არ არის დაბეჭდილი მათ ქართულ გაზეთ „ერთობაში“, რაც ძალიან სამწუხაროა, ვინაიდან ქართველ მენშევიკ-მუშებს არ შეეძლებათ გაიცნონ მარქსიზმის მოღალატე კაუცკის დღევანდელი მრწამსი და შესაფერი მსჯავრი გამოიტანონ.

კ. კაუცკის ეს წერილი შესანიშნავია მით, რომ ის საბოლოოდ ფარდას ხდის თავის თავს და გვეკლინება წმინდა წყლის წვრილ ბურჟუაზიულ ფილისტერათ, რომელსაც ასე სასტიკათ ებრძოდენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი და თვითონაც ის, როდესაც ჯერ კიდევ ორტოდოქსალური მარქსისტი იყო.

დღევანდელი კაუცკი მოგვაგონებს ჩვენ ცხრაასიან წლების იმ რეფორმისტ-ბერშტეინს, რომლის წინააღმდეგ არა ერთხელ და ორხელ გაულაშქრებია მას რევოლიუციონურ პროლეტარიატის დიქტატურის, მისი კლასიურ ბატონობის დასაცავად და დემოკრატიის და „საზოგადოთ დემოკრატიზმის“ ილიუზიების გასაფანტავად. მისი მაშინდელი ნაწერები ბერნშტეინის წინააღმდეგ პირდაპირ ცხვირპირში სცხებს დღევანდელ რენეგატ კაუცკის და არა მარტო კაუცკის, არამედ ყველა მენშევიკებსაც მის მიერ დაწერილი „ანტი-ბერნშტეინი“. ეს დღევანდელი კომუნისტური პროგრამა ტაქტიკაა, რომელიც მიმართულია კაუცკიანელების და საზოგადოთ ყველა ქვეყნის სოციალ-გამცემლების წინააღმდეგ

ამიტომ საჭიროა მისი ძველი და ახალი ნაწერების გარჩევა და ერთმანეთზე დაპირისპირება, რათა ქართველ მუშებს შეძლება მიეცეს სწორი, სინამდვილეზე აგებული შეხედულება გამოიტანონ ღღევანდელ კაუცკიზე. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ მის ავტორიტეტს დიდი გასავალი ჰქონდა ჩვენში და მარქსიზმის ერთ ბურჯათ ითვლებოდა.

კ. კაუცკი სწერს: „სოტიალიზმი არ არის მარტო ერთი პროლეტარიატის საქმე, ის მთელი კაცობრიობის საქმეა“ ვისი სიტყვებია ეს? რასაკვირველია არა მარქსისტის, ამას ყველა მიხვდება, ვინც კი ოდნავ მაინც იცნობს მარქს-ენგელსის მოძღვრებას, მეცნიერულ სოციალიზმს, ვინაიდან ამ მოძღვრებამ პირველი ინტერნაციონალის პირველ კონგრესის მანიფესტის საშუალებით მთელ ქვეყნიერობას შესძახა: „მუშათა განთავისუფლების საქმე—ეს თვით მუშათა საქმეაო“. და ეს დევიზი მუდამ პირზე ეკერათ ყველა გულწრფელ რევოლიუციონურ სოციალისტებს და ღრმათ ქონდათ გულში ჩაბეჭდილი, მედგრათ იცავდა მას და თეორეტიულადაც ამტკიცებდა ერთ დროს ჩვენი კაუცკიც. ის სწერდა სოციალისტურ რევოლიუციის მოხდენის შესახებ: „რევოლიუციონურ წრეებს, მაშასადამე, საქმე ექნებათ უკვე არა მარტო ერთ მთავრობასთან, არამედ მყვლეფელების უზარმაზარ ორგანიზაციებთანაც. და ეს რევოლიუციონური წრეები არ არიან, როგორც წინანდელ რევოლიუციების დროს იყო ხალხის დიდი უმეტესობის წარმომადგენლები, ერთი მუჭა მყვლეფელების წინაადმდეგ,—ისინი არსებითად ახლა წარმომადგენლები არიან მხოლოდ ერთი კლასის, სახელდობრ, პროლეტარიატის, რომლის წინააღმდეგ არიან არა მარტო მყვლეფელების კლასები, არამედ წვრილი ბურჟუების და გლეხების უმრავლესობაც და ინტელიგენციის დიდი ნაწილიო“. (იხ. კ. კაუცკის: „Социальный переворот“ გვ. 70—71.

აქ ყველასთვის ნათლად და გასაგებად არის გამოთქმული ის, თუ ვინ უნდა მოახდინოს სოციალისტური რევოლიუცია და განახორციელოს შრომის სამეფო, სოციალიზმი. აქ აშკარა სისწორით არის ნათქვამი, რომ ეს არის ერთად „ერთი კლასის, სახელდობრ, პროლეტარიატის“ საქმე, ხალხის დანარჩენი ნაწილი კი ამის წინააღმდეგია. ეს ნამდვილი სწორი მარქსისტული აზრია სოციალისტურ რევოლიუციაზე და საზოგადოთ სოციალიზმზე. კაუცკიმ უარყო დღეს ეს ერთად ერთი სწორი აზრი, დებულება და წამოაყენა ახალი დებულება წვრილ ბურჟუაზიულ რეაქციონური: „სოციალიზმი მთელი კაცობრიობის საქმეა“.

კაუცკი არ ჩერდება ამაზე და სწორი ლოღიკური დასკვნებიც გამოყავს აქედან. ის ამბობს: პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „პროლეტარიატი თავის კერძო ინტერესებს დაუმორჩილებს საერთო (საზოგადოებრივ) ინტერესებს“. ე. ი. მარქსისტულ ენით რომ ვთქვათ პროლეტარიატმა თავისი „ვიწრო“ კლასიური ინტერესები უნდა დაუმორჩილოს „საერთო საზოგადოებრივ“, ზე-კლასიურ ინტერესებს და ამაში ყოფილა თურმე პროგრესი. ჩვენის აზრით კი ეს უკიდურესი რეგრესია, რევოლიუციონურ პროლეტარიატის მეტის მეტად დაქვეითება და ჩამორჩენაა, ვინაიდან ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში და ჩვენი მოძღვრებაც იმას გვასწავლის, რომ პროლეტარიატი ერთად ერთი სასიცოცხლო კლასია, რომელსაც მომავალი ეკუთვნის. მისი კლასიური ინტერესები ეს ის მაღალი ინტერესებია, რასაც უნდა დაემორჩილოს სხვა ინტერესები, ამაშია სწორეთ პროგრესი და წინ-სვლა, თუ სინამდვილეს კარგათ გავიგებთ და არ ავცდებით მარქსისტულ დიალექტიკის გზას და მეთოდს.

კ. კაუცკი კი უფრთხის ამას. ის ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ პროლეტარიატს შეუძლია თავისი საქმე თვითონ გააკეთოს და ამიტომ ამბობს: „ვერც ერთი რეჟიმი ვერ იბატონებს დღეს არა მარტო მშრომელთა სურვილის წინააღმდეგ, არამედ ინტელიგენციასაც. საზოგადოების ნამდვილი სოციალიზაცია უიმისოთ სრულიად შეუძლებელია“. უინტელიგენციოთ „შეუძლებელია საზოგადოების სოციალიზაცია“! მაშ ხომ დაიღუპა ქვეყანა და გაგვიცრუვდა სოციალიზმის იმედები? ვინაიდან ინტელიგენცია ვერ ჩაებმება და არც ჩაება, როგორც რუსეთის მაგალითი გვიჩვენებს, პროლეტარიატთან ერთად სოციალიზმისთვის ბრძოლაში. მართალია ნაწილი პროლეტარიატის ერთგული დარჩა, მაგრამ მხოლოდ ნაწილი, თუ ეს სიყალბეა და არავითარი საერთო არ აქვს ჭეშმარიტ სინამდვილესთან? მაშინ შეეკითხოთ თვით კაუცკის, მაგრამ არა დღევანდელ რენეგატ კაუცკის, არამედ იმ ძველ კაუცკის, რომელიც ჯერ კიდევ მართლმორწმუნე მარქსისტი იყო. ის არჩევს ინტელიგენციას და დაასკვნის: „ის (ე. ი. ინტელიგენცია—კ.კ.) წარმოადგენს მცხოვბთა წრეს, რომელსაც ყველაზე ნაკლები უნარი შესწევს ენერგიულ კლასიურ ბრძოლისათვის და როგორი სიმძლავრითაც არ უნდა სძაგდეს მას გულში კაპიტალისტური რეჟიმი, მაინც ემორჩილება მას“ (იხ. „ანტი-ბერნშტეინი“ გვერ. 220). ზემოდ მოყვანილ კაუცკის ციტატშიაც იგივე აზრია გამოთქმული: „პროლეტარიატის წინააღმდეგ იქნება ინტელიგენციის დიდი ნაწილის“. აი ეს ნამდვილი ჭეშმარიტი მარქსისტული შეხედულებაა ინტელიგენციაზე საერთოდ და მის როლზე. ხოლო ის კი რასაც დღევანდელი რენეგატი კაუცკი ამბობს პირწავარდნილი წვრილ ბურჟუაზიულ უტოპიური ლათაიებია.

შემდეგ კაუცკიმ დაიგიწყა რა პროლეტარულ-კლასიური თვალსაზრისი და მიატოვა რა ძველი ნაცადი მარქსისტული დიალექტიური მეთოდი, დაუპირდაპირა პროლეტარიატის ბრძოლის დიქტატურულ მეთოდს დემოკრატიის მეთოდი, რომლის წინააღმდეგ ის ძველად ასე სასტიკად ილაშქრებდა და ტყავს აძრობდა ბერნშტეინს. დღეს კაუცკი სწერს: „დემოკრატიის მეტის მეტად დიდი უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ის უარყოფს ძალდატანებითი დამრღვევ მეთოდებს და შესაძლებლად ხდის პროგრესს ნაკლები ტკივილებით“. დემოკრატიის ბატონობის დროს „მისთვის საჭირო არ იქნება არავითარი დიქტატურა და გაუმკლავდება მათ (ე. ი. კაპიტალისტებს და საზოგადოთ მყვლეფელებს—კ.კ.) დემოკრატიის მეთოდებით“. (იხ. „ბორბა“ № 157).

ნ. ლენინი

„მემარცხენეობის“ საუმაწვილო სენი კომუნიზმში

(გაგრძელება. იხ. „ახალი კომუნის.“ № 7.)

III

ბალშევიზმის ისტორიის უმთავრესი ეტაპები

რევოლიუციის მზადების წლები (1902—1905 წ.წ.). ყველგან გამეფებულია გრძნობა უდიდეს გრიგალის მოახლოვების. ყველა კლასებს ემჩნევათ ჩუმი მღელვარება და მზადება. საზღვარ-გარეთ, ემიგრანტების პრესა თეორეტიულათ აყენებს რევოლიუციის ყველა ძირითად საკითხებს. წარმომადგენლები სამი ძირითადი კლასების, სამი უმთავრეს პოლიტიკურ მიმდინარეობის—ლიბერალურ-ბურჟუაზიულის, წვრილ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულის (რომელიც ეფარება „სოციალ-დემოკრატიულ“ და „სოციალისტ-რევოლიუციონურ“ ვიეესკებს) და პროლეტარულ-რევოლიუციონურის გაშმაგებით ებრძვიან ერთიმეორის პროგრამულ და ტაქტიკურ შეხედულებებს, რითაც ასწრებენ და ამზადებენ მომავალ აშკარა ბრძოლას კლასებისას. ყველა იმ საკითხების, რომლების გამო სწარმოებდა მასსების შეიარაღებული ბრძოლა 1905—1917 და 1917—1920 წლებში, გაკვლევა შეიძლება (და კიდეც საჭიროა) მაშინდელი პრესის გაცნობით.

სამ უმთავრეს მიმართულებებს შორის, რასაკვირველია, რამდენიც გნებავთ, იმდენია საშუალო, გარდამავალი, დაუსრულებელი მიმდინარეობანი. უკეთ—ბეჭდვითი ორგანოების, პარტიების, ფრაქციების, ჯგუფების ბრძოლაში ყალიბდებიან ის იდეიურ-პოლიტიკური მიმართულებანი, რომლებიც ნამდვილათ კლასიურია: კლასები ჰედავენ თავისთვის მომავალ შეტაკებებისათვის სათანადო იდეიურ-პოლიტიკურ იარაღს.

რევოლიუციის წლები (1905—1907) ყველა კლასები აშკარათ გამოდიან. ყველა პროგრამული და ტაქტიკური შეხედულებანი მასსების მოქმედებით ისინჯებიან. მოწმე ვართ ისტორიაში უნახავ, უფართოვეს და უმწვავეს გაფიცვებით ბრძოლის. ეკონომიური გაფიცვა პოლიტიკურში გადადის და პოლიტიკური გაფიცვა აჯანყებათ იქცევა. პრაქტიკული გასინჯვა ხდება იმ ურთიერთობა-დამოკიდებულებათა, რომელიც არსებობს ხელმძღვანელ პროლეტარიატსა და ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ, მერყევ, დაუდგომელ გლეხობას შორის. ბრძოლის სტიქიურ განვითარებაში იბადება ორგანიზაციის „საბჭოს ფორმა“. მაშინდელი დავა-კამათი საბჭოების მნიშვნელობაზე წინამორბედია 1917—1920 წლების დიადი ბრძოლის. შეცვლა ბრძოლის პარლამენტარულ ფორმის და არა-პარლამენტარულის, ტაქტიკის პარლამენტარიზმის ბოიკოტის და პარლამენტარიზმის გამოყენების, ბრძოლის ლეგალური ფორმების და არალეგალურის, აგრეთვე მათი ურთიერთი დამოკიდებულება და კავშირი—ყოველივე ეს გასაოცარი მდიდარი შინაარსის მატარებელი იყო. პოლიტიკურ მეცნიერების საფუძვლის შესათვისებლათ—როგორც მასსებისთვის ისე წინამძღოლებისთვის, როგორც კლასებისთვის ისე პარტიებისთვის—ამ პერიოდის ერთი თვე უდრიდა მთელს წელიწადს „მშვიდობიან“, „კონსტიტუციონურ“ განვითარებისა. 1905 წ. რომ ეს „გენერალური რეპეტიცია“ არ ყოფილიყო, 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

რეაქციის წლები (1907—1910) მეფე გამარჯვებულია. ყველა რევოლიუციონური და ოპოზიციონური პარტიები დამარცხებულია. ძირს დაცემა, დემორალიზაცია, გათიშვა, დაქსაქსვა, რენეგატობა, პორნოგრაფია პოლიტიკის მაგიერ. ძლიერდება მიდრეკილება ფილოსოფიურ იდეალიზმისკენ. მისტიციზმი კონტრევოლიუციონურ სულის კვეთების ამოსელის როლს თამაშობს. მარა იმავე დროს, სწორეთ ეს უდიდესი დამარცხება რევოლიუციურ პარტიებისთვის და რევოლიუციურ კლასისთვის არის ნამდვილი, მეტის მეტი სასარგებლო გაკვეთილი, გავვეთილი ისტორიული დიალექტიკის, გაკვეთილი პოლიტიკური ბრძოლის გასაგებათ, მისი წარმოების ხერხის და უნარის შესათვისებლათ. მეგობრები შავს დღეებში გამოიცნობიან. დამარცხებული ჯარი უკეთ სწავლობს და იწვრთნება.

გამარჯვებული ცარიზმი იძულებულია საჩქაროთ ბოლო მოუღოს რუსეთის პატრიარქალური ყოფა-ცხოვრების, ბურჟუაზიულ წყობილების დამყარებამდე არსებულ წესების ნაშთებს. რუსეთის ბურჟუაზიული განვითარება საოცარი სისწრაფით მიაბიჯებს წინ. ზეკლასიური და კლასთა გარეშე (внеклассовые) ილიუზიები კაპიტალიზმის გვერდის ავლის შესახებ უკვალოთ იფანტება. კლასიური ბრძოლა წინ დგება, ახალ ფორმებში და მიტომაც უფრო აშკარათ.

რევოლიუციონური პარტიები იძულებული არიან დამატებითი სწავლა-გამოცდილება შეიძინონ. წინეთ ისინი სწავლობდენ შეტევას. ახლა უნდა შეიგნონ, რომ ამ ცოდნას უნდა დაემატოს მეორე ცოდნა—წესიერათ უკან დახევა. აუცილებელი ხდება იმის გაგება—და რევოლიუციური კლასიც თავის მწარე გამოცდილებით ეჩვევა ამის გაგებას,—რომ შეუძლებელია გამარჯვება, თუ შესწავლილი არ გაქვთ წესიერი შეტევა და წესიერი უკან დახევა. ყველა დამარცხებულ ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ პარტიებიდან ბალშევიკები იხევენ უკან მეტი წესრიგით, ნაკლები დანაკლისით მათი „არმიისათვის“, მისი მთავარი ძალის უკეთ შენახვით, ნაკლები გათიშვებით, ნაკლები დემორალიზაციით და მეტი უნარით მუშაობის ხელახლა გასაჩაღებლათ უფრო ფართოთ, სწორათ და ენერგიულათ. და ამას მიაღწიეს ბალშევიკებმა მხოლოთ იმიტომ, რომ დაუზოგველათ ფარდა ახადეს და შორს განდევნეს ფრაზის რევოლიუციონერები, რომელთაც არ სურდათ გაეგოთ, რომ საჭიროა უკანდახევა, რომ უნდა ვიცოდეთ უკანდახევა, რომ აუცილებლათ უნდა შევისწავლოთ ლეგალური მუშაობა თვით ურეაქციონერეს პარლამენტებში, თვით ურეაქციონერეს პროფესიონალურ, კოოპერატიულ, დამზღვევ და სხვა ასეთ ორგანიზაციებში.

მოძრაობის ტალღის აგორების წლებია (1910-1914). პირველ ხანებში მოძრაობა მეტისმეტი ნელი იყო. შემდეგ კი, მდ. ლენაზე მომხდარ ამბების გამო 1912 წ., მომეტებული სისწრაფე დაეტყო. გაუგონარ სიძნელეთა დაძლევით ბალშევიკებმა უკან დაახევინეს და გაანაპირეს მენშევიკები, რომელთა როლი როგორც ბურჟუაზიის აგენტებისა მუშათა მოძრაობაში, ძლიერ კარგათ ქონდა შეგნებული 1905 წ. შემდე მთელს ბურჟუაზიას, რომელიც ამიტომაც ათასგვარი საშვალებით ზურგს უმაგრებდა მათ ბალშევიკების წინააღმდეგ. მარა ბალშევიკები ვერასოდეს ვერ მიაღწევენ ასეთ შედეგებს, რომ მათ არ ეწარმოებიათ სწორი ტაქტიკა არალეგალურ მუშაობის შეერთების „ლეგალურ შესაძლებლობათა“ სავალდებულო გამოყენებასთან. ურეაქციონერეს სახ. სათათბიროში ბალშევიკებმა შესძლეს მთელი მუშათა კურიის დაპყრობა.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი (1914—1917). ლეგალური პარლამენტარიზმი, უკიდურესათ რეაქციონურ „პარლამენტის“ პირობებშიაც კი, მეტათ სასარგებლო სამსახურს უწევს რევოლიუც. პროლეტარიატის პარტიას, ბალშევიკებს. ბალშევიკი-დეპუტატები ციმბირში მიდიან. ემიგრანტების პრესაში სრულ გამოხატულებას ჰპოულობენ ჩვენში მთელი თავისებურობით ყველა მიმართულებანი სოციალ-იმპერიალიზმის, სოციალ-შოვინიზმის, სოციალ-პატრიოტიზმის, ბოლომდის მიმავალი და შუაგზაზე შეჩერებული ინტერნაციონალიზმი, პაციფიზმი და პაციფისტური ილიუზიების რევოლიუციონური უარყოფა. განსწავლული ჩერჩენტებმა და დედაბერებმა მეორე ინტერნაციონალისა, რომლებიც მედიდურათ ცხვირს იწევდენ ზევით იმის გამო რომ რუსეთის სოციალიზმში ბევრი „ფრაქციები“ იყო და მათ შორის უსასტიკესი ბრძოლა გაჩაღებული, ვერ მოახერხეს—როცა ომმა ყველა მოწინავე ქვეყნებში მოსპო ქებული „ლეგალიზმი“,—მოეწყოთ დაახლოვებით მაინც ისეთი თავისუფალი (არალეგალური) გაცვლა-გამოცვლა აზრთა და ისეთი თავისუფალი (არალეგალური) გამომუშავება სწორ შეხედულებათა, როგორიც მოაწყვეს რუსეთის რევოლიუციონერებმა შვეიცარიაში და მრავალ სხვა ქვეყნებში. და სწორეთ ამიტომაც მოხდა, რომ როგორც აშკარა სოციალ პატრიოტები, ისე „კაუცკიანელები“ ყველა ქვეყნებში აღმოჩნდენ პროლეტარიატის ყველაზე უარეს გამცემლები.

და თუ ბალშევიზმმა შესძლო გამარჯვება 1917—1920 წ.წ. გამარჯვების ერთ-ერთ ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ბალშევიზმი ჯერ კიდევ 1914 წლის დამლევიდან მოკიდებული დაუზოგველათ ამხელდა და ნიღაბს ხდიდა საზიზღრობას, ყოვლათ უნამუსობას და საძაგელ ქვემძრომობას, სოციალ შოვინიზმისას და „კაუცკიანელობისას“ (რისიც ტყუპია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ამას ქვია მარქსიზმის ღალატი! აი ამას ქვია რენეგატობა და ყველა თავისი ძველი ნამოღვაწარის წაბილწვა!

ასე ვუპასუხებთ ჩვენ იმათ, რომლებსაც სასაცილოდაც არ ყოფნით ის, რომ დღეს ჩვენ ვუწოდებთ კაუცკის მარქსიზმის მოღალატეს და რენეგატს. აბა შევადაროთ მისი ძველი აზრები ამის შესახებ დღევანდელს.

ედ. ბერნშტეინის წინააღმდეგ კაუცკი სწერდა: „შეუძლებელია პროლეტარიატის კლასიურ ბატონობის გარეშე კლასების მოსპობა. მაგრამ ბერნშტეინს ეშინია ამ კლასიურ ბატონობის, და ამიტომ ის ხედავს დემოკრატიაში საშვალებას, რომელიც „პრინციპიალურად“ სპობს კლასიურ აატონობას და, ამგვარად ზედმეტად ხდის პროლეტარიატის ბატონობას“. (იხ. „ანტი-ბერშტეინი“ გვერ. 211). შემდეგ ის ამბობს: „რომ დემოკრატიული ფორმები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ზედმეტი გახადოს პროლეტარიატის გასანთავისუფლებლად მისი კლასიური ბატონობა, ეს სრულიად არ დაუმტკიცებია არც წინანდელ პრაქტიკას, არც მისგან მოსალოდნელ შედეგებს“. (გვერ. 213). საკითხზე, შესაძლებელია თუ არა „საერთო დემოკრატია“, როგორც ჩვენი მენშევიკები ამბობდენ და ამბობენ დღესაც («демократия вообще»—კ. კ.), კაუცკი იძლევა შემდეგ პასუხს: „თუ საერთო დემოკრატია უკვე შეუძლებელია ასეთი ხელმძღვანელობის ქვეშ ე. ი. ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის—კ. კ.), და ის კი ყოველგან იშლება,—მაშინ ის პროლეტირიატის ხელმძღვანელობის ქვეშ მით უმეტეს შეუძლებელია“. (გვერდი 219).

ასე უყურებდა კ. კაუცკი დემოკრატიას და „საერთოდ დემოკრატიას“ მაშინ, როდესაც ის მარქსისტი იყო.

არც სასტიკ დიქტატურას უარყოფდა ის მაშინ, ე. ი. მარქსისტებინ დროს და სასტიკათ ებრძოდა იმათ, ვინც კი გაილაშქრებდა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, სწორეთ ისევე როგორც ჩვენ გვიხთება დღეს გალაშქრება.

იმავე წიგნში ის სწერდა ბერნშტეინის წინააღმდეგ: „ბერნშტეინი ბრაზმორევით უარყოფს აზრს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. შეიძლება თავის დაღწევა ისეთ ელემენტებისგან, როგორიც არიან პრუსიის იუნკრები შტუმმები და ჭიუნემანები, როკფელერები და დუეი-გულდები, დაბალი და მაღალი ხარისხის ბანდიტები... და სხვა ვაჟბატონებისაგან, თუ ყურადღებას მივაქცევთ მათ ინვიდუალობას ეს ჩემთვის საეჭვოა“. (გვერ. 212). შემდეგ: „მე ყველაზე ნაკლებ მაწუხებდა ის გარემოება, რომ ჩვენ შეიძლება ხვალევე გერმანიის დიქტატორები გავხდეთ“. (გვერ. 236).

ასე ამბობდა და გვასწავლიდა კაუცკი მაშინ, როდესაც მართლმორწმუნე რევოლიუციონური მარქსისტი იყო ‌ დ დაუნდობლათ ებრძოდა მუშათა კლასის გამათახსირებელ ყველა ჯურის ოპორტუნისტებს და რევიზიონისტებს და მედგრათ იცავდა მარქს-ენგელსის მიერ ნაანდერძევ რევოლიუციონურ მოძღვრებას.

მართალი ვართ ჩვენ თუ არა ამის შემდეგ იმაში, რომ დღევანდელ კაუცკის ვუწოდეთ მარქსიზმის მოღალატე და რენეგატი, ეს თვით მუშა-მკითხველებმა გასაჯონ.

კ. კომუნაძე.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ნ. ჟორდანიას.

ახლი საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

(პოლიტიკურ პატიმართა მოთხოვნა)

განცხადება.

თვეზე მეტია, რაც ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ვიმყოფებით ქუთაისის საგუბერნიო ციხეში. ჩვენ დაგვატყვევეს სხვა და სხვა ჯურის აგენტებმა ბ. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით. ჩვენ დაპერის წამიდანვე, ი. ი. მთელი თვის განმავლობმში' მოვითხოვდით მთავრობისაგან დასაბუთებული, კანონიერი, ფორმალურ-იურიდიული ბრალდებების წამოყენებას ჩვენ წინააღმდეგ, მარა ამაოდ ჩვენი კანონიერი მოთხოვნილება დარჩა „ხმათ მღალადებლისა უდაბნოსა შინა“—ვერავითარ პასუხს მთავრობისაგან ჩვენ ვერ ვეღირსეთ. მხოლოთ ციხის ადმინისტრაციამ და ზოგიერთმა „წვრილფეხა აგენტებმა ერთ ნაწილს ჩვენი ამხანაგებისა ბუნდოვანათ გაუცხადეს: თქვენ ბრალი გედებათ შეიარაღებულ აჯანყებისათვის მზადებაშიო. მარა ასეთ ცარიელ სიტყვებს, წამოსროლილს ადმინისტრაციის დაბალი ჩინების მიერ, ბუნდოვანს და სრულიათ დაუსაბუთებელს, ჩვენ დასაბუთებულ და ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელ პასუხათ ვერ მივიღებთ. ეს გარემოება ჩვენ ღრმათ გვარწმუნეას იმაში, რომ მთავრობას (შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყება) არ შეუძლია (და ვერც შესძლებს) ჩვენ წინააღმდეგ წამოაყენოს ცოტათ თუ ბევრათ დასაბუთებული ბრალდება და, მაშასადამე, ჩვენ სამართალში მიგვცეს, და ეს ასეც უნდა იყოს: არ შეიძლება არაფრისაგან რაიმეს შექმნა, არ შეიძლება ბ. ბ. კედიას, ს. მაღნარაძის და კომპ. ლაბორატორიაში შეთხზულ ჭორებზე, ტყუილებზე, ინსინუაციებზე, „დანოსებზე“ და პროვოკაციაზე აშენდეს სერიოზული, იურიდიულათ დასაბუთებული ბრალდება, რომელზედაც უნდა ეყრდნოობოდეს ყოველი წესიერათ მოწყობილი სასამართლო, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულიც კი. ამნაირათ, ჩვენი დატყვევების და საპყრობილეში ტანჯვა-წვალების სათავეა მხოლოთ ერთად ერთი—შინაგან საქმეთა სამანისტრო და მისი აგენტურა, ადმინისტრატიული თვითნებობა და ტიტველი ძალადობა. საქართველოს მთავრობის და მის თავმჯდომარის საყურადღებათ ჩვენ ვაცხადებთ შემდეგს: საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულების ძალით ჩვენი, საქართველოს კომუნისტური პარტია გამოცხადდა ლეგალურ, თავისუფალ და კაეონიერ პარტიათ. ამას შემდეგ ჩვენმა პარტიამ საჯაროთ, აშკარათ და ოფიციალურათ ახალი პირობების თანახმათ ხელი აიღო ზოგიერთ ძირითად ტაქტიკურ ლოზუნგებზე (მაგ. შეიარაღებულ აჯანყებაზე), რომლებიც წარმოშვა წინანდელმა ხანამ ჩვენი პირტიის არა ლეგალური (სარდაფს ქვეშ) მუშაობისამ და გააჩაღა იდეიურ-ორგანისაციული მუშაობა ლეგალურ ფარგლებში აღნიშნული ხელშეკურლების თანახმათ. ჩვენ დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ, როგორც შეგნებულ წევრთ საქართველოს კომუნისტური პარტიისა. ჩვენ ოდნავათაც არ გადაგვიხვევია პარტიული ხაზიდან, ე. ი, ჩვენი მუშაობა იყო სრულიათ აშკარა, საჯარო და ლეგალური. ჩვენ კატეგორიულათ ვაცხადებთ, რომ ჩვენი პარტიული მუშაობის შინაარსი და ერთად ერთი მიზანი იყო—წმინდა იდეური ბრძოლა და არა შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება. ჩვენ ღრმათ გვწამდა და გვწამს, რომ ჩვენი პარტიის ლეგალური არსებობის ხანაში სრულიათ საჭირო არაა შეიარაღებულა აჯანყებისათვის მზადება. ჩვენ ღრმათ გვწამდა და გვწამს, რომ უიარაღოთაც, თავისუფალი, იდეიური ბრძოლის ნიადაგზე მოკლე დროის განმავლობაში ჩვენ სასტიკათ დავამარცხებთ ყველა ჩვენ მოწინააღმდეგე—არა კომუნისტურ, არაპროლეტარულ პარტიებს. ამნაირათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის წყალობით ჩვენ, საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრნი, ჩაყენებული ვართ ყოველი მხრით (იურიდიულათ, მორალურ-ზნეობრივათ, მატერიალურათ და სხვა) აუტანელ მდგომარეობაში, რასაც ჩვენ ვერ შეურიგდებით, სანამ ცოცხალი ვართ. ეს ცოტაა: ჩვენ ვაცხადებთ, რომ მთავრობის აღნიშნული საქციელი სოციალისტურ რუსეთთან დადებული ხელშეკრულების აშკარა დარღვევა, ფეხ-ქვეშ გათელვაა, რასაც ჩვენ მთელი ჩვენი არსებით შევებრძოლებით. უხეშმა ძალამ, განუსაზღვრელმა ადმინისტრატიულმა თვითნებობამ ჩვენ წინაშე დააყენა კითხვა ყოფნა არ-ყოფნის შესახებ. გამოვდივართ რა ყოველივე ზემოთქმულისაგან, ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისაგან სასწრაფოთ მოახდინოს განკარგულება ჩვენი დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ. წინაღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით მივმართოთ პატიმართათვის ერთად-ერთ ბრძოლის საშვალებას—შიმშილობას. ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ეს ბრძოლა გამოიწვევს მრავალ მსხვერპლს, მაგრამ ჩვენ ვერ შეგვაჩერებს ეს გარემოება, ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, სრულ გამარჯვებამდე. ველით პასუხს 4 აგვისტომდე. 4 აგვისტოს დილიდან ვაცხადებთ შიმშილობას.

1 აგვისტო, 1920 წ.

(ხელს აწერს 96 ამხანაგი ტუსაღი, მათგან 13 გაუნთავისუფლებიათ 31 ივლისს).

პატიმარი კომუნისტების განცხადება.

საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს.

საგუბერნიო საპყრობილის № 2 მეტეხის პოლიტიკურ პატიმართაგან.

განცხადება.

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი კომუნისტები რიცხვით 20 კაცი ვიმყოფებით რა თქვენს განკარგულებაში, აგერ მეორე თვე გადის და თქვენგან არავითარი პასუხის ღირსი არ გავხდით, მიუხედავათ ჩვენი პროტესტებისა, რომლებიც განვაცხადეთ ჩვენ, როგორც პრესის საშვალებით, ისე აგრეთვე, თქვენ მიერ გაგზავნილ რწმუნებულის საშვალებითაც, რომელმაც გვინახულა ჩვენი განცხადების თანახმათ.

უარვყოფთ რა ყველა ბრალდებებს, რომლებიც ჩვენს წისააღმდეგ არის წამოყენებული აგენტების მიერ, ჩვენ კვლავ მოვითხოვთ ჩვენს განთავისუფლებას ან და კონკრეტულ ბრალდების წამოყენებას სასამართლოზე გადაცემით. ყველა ამ მოთხოვნილებებზე პასუხს მოვითხოვთ არა უგვიანეს 5 აგვისტოსი, რის შემდეგაც იძულებული ვიქნებით მივმართოთ უკანასკნელ საშვალებას, ე. ი. გამოვაცხადოთ **შიმშილობა.** ვაცხადებთ მასთან ერთად, რომ შიმშილობას არ მოვხსნით იმ დრომდე ვიდრე არ ვიქნებით დაკმაყოფილებული. სოკვდილს ვარჩევთ დათმობას.

გიულეტენი პრესგიუროსი

რ. ხ. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

საბჭოთა რუსეთში

მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე

მოსკოვი, 18 ივლისი. ჩვენი საზავო დელეგაციის წევრი ამხ. ნოგინი აღნიშნავს რა დასავლეთ ევროპაში შექმნილ მდგომარეობას, შემდეგს ამბობს: „ჯერ ორი წელიწადიც არ არის მას შემდეგ, რაც ანტანტამ გამოაცხადა კომუნისტები კანონის გარეშე.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ბალფური იმუქრებოდა: „როდესაც ბალშევიკები იქნებიან განადგურებულნი, საბჭოთა მთავრობის წევრები ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იპოვიან თავშესაფას ადგილსო“.

ეხლა არამც თუ მოლაპარაკებას აწარმოებენ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან, არამედ ყოველივე ღონეს ხმარობენ ჩვენდამი კეთილი სურვილების გამოსატავათ. ასეთი ცვლილების მიზეზი არის, რასაკვირველია, არა ანტანტის მთავრობების „გამემარცხენება“ არამედ წითელი არმიის გმირულ ძლევამოსილი წინსვლა.

წითელი არმიის ძლევა-მოსილი წინსვლა მეტ გავლენას ახდენს ანტანტაზე და მიყავს ის დითმობის გზაზე, ვიდრე დიპლომატიური მოლაპარაკება. ერთი აღსანიშნავია, აგრეთვე, დასავლეთ ევროპის ეკონომიური მდგომარეობა.

მთელ ევროპაში შრომის ნაყოფიერება დაეცა 30 პროცენტით, ვიდრე ეს ომამდის იყო.

გაუარესდა ნაწარმოების ღირსებაც.

ძლიერ დაეცა ქვა-ნახშირის წარმოებაც.

წარმოების დაცემაზე დიდი გავლენა იქონია მუშა-სპეციალისტების ნაკლებობამ, აგრეთვე მუშების ფიზიკურათ დასუსტებამ, რომელთაც არ სურთ წინანდებულათ იყვნენ კაპიტალის მონებათ.

საგრძნობი გახდა ნედლი მასალის უქონლობა. მუშების გულის-წყრომა თანდათან მატულობს, რადგან ცხოვრების პირობები დასავლეთ ევროპაში ისეთია, რომ ისინი იწვევენ გულის-წყომას არამც თუ მუშა ხალხში, არამედ ისეთ ხალხშიც, რომლებიც შორს არიან ყოველგვარ სოციალიზმთან და მუშათა მოძრაობასთან.

ამასთან ძლიერ მატულობს კაპიტალისტების მოგება. კაპიტალისტების საშუალო შემოსავალი ომამდის იყო 6 პროცენტი, ეხლა კი 20 დაწყებული 500 პროცენტამდის ადის.

ასეთი წინააღმდეგობები ძლიერ ამწვავებენ მუშებსა და კაპიტალისტებს შორის დამოკიდებულებას.

საკმარისია ამის დასამტკიცებლად, რომ მარტო მაისის განმავლობაში ინგლისში მოხდა 247 გაფიცვა, რომლშიც მონაწილეობა მიიღო ერთმა მილიონმ მუშამ. ევროპა მიდის იქეთ, სადაც ჩვენ უკვე მივედით—სოციალისტური რევოლიუციისაკენ.“

ჩქარი მატარებლები.

მოსკოვ—მინერალურ წყლებამდე ჩქარ მატარებლის გარდა კიდევ დადის ორი რწყვილი სხვა ჩქარი მატარებელი: როსტოვ-მოსკოვი და როსტოვ-კისლოვოდსკი.

საზოგადოებრივი გამოკვება.

როსტოვი, საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა დიდათ გააფართოვოს საზოგადუებრივი გამოკვების საქმე.

როსტოვის და ნახიჩევანის მშრომელ მასას უნდა მიეცეს ხელმისაწვდომ ფასებში კარგი ხარისხის სადილი.

გადაწყვეტილია როსტოვში და ნახიჩევანში დაარსდეს 150—200 რაიონული საბჭოთა სასადილოები, რომლებიც დღეში დაამზადებენ ასი ათასამდის სადილს,

როსტოვი. ბელო-კალიტვენის მაზრაში შესდგა 3 მიწათ-მოქმედო კოლექტივი. შეუდგენ პურის მოგროვებას.

მოსავალი დიდიხნის გვალვების გამო საშუალოზე ნაკლებია.

უკანასკნელი ცნობები

სამხედ. ოპერატ. რადიო-ცნობა, 2 აგვ.

ლომჟენის რაიონში დავიკავეთ შჩუჩინი.

ბელოსტოკის სამხრეთ-დასავლეთით მკაცრი ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ჩვენი ჯარები გადავიდენ ნარევზე და მაზოვეცის წინააღმდეგ შეტევას აწარმოებენ.

ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში მკაცრი ბრძოლების შემდეგ ჩვენ ავიღეთ ბრესტ-ლიტოვსკი. ამასთანავე ხელთ ვიგდეთ დიდძალი ტყვეები და სამხედრო ნადავლი.

ტარნოპოლთან ჩვენ მდინარე სერეტის მარჯვენა ნაპირებთან მდებარე მთებიდან გავრეკეთ პოლონელები.

ჩერნიგოვის რაიონში ჩვენი ჯარები ავიწროებენ მოპირდაპირეს მდინარე სერეტის დასავლერით.

ყირიმის რაიონში მდინარე კონსკაიას და ბერდიანსკის ხაზზე მკაცრი ბრძოლები გრძელდება.

მუშათა წერილები

ვის ატყუებთ?

გაზ. „ერთობის“ № 172-ში მოთავსებულია ვიღაც ბაქოდან „ჩამოსულის“, რომელიც მტკნარ სიცრუეს შეადგენს. ასეთი სიცრუის შესათხზავათ სრულიადაც არ იყო საჭირო ბაქოში ყოფნა. ავტორი სწერს, ვითომკ ამხ. ნანეიშვილისათვის „მუშების მიტინგზე ლაპარაკის ნება არ მიეცეთ. ეს შეთხზული ჭორია; არსად ამის მსგავსიც არა ყოფილა და არც ერთ მუშათა მიტინგზე მაისიდან მოკიდებული კომუნისტების გარდა არა-

---

საფრანგეთში ლონგეს მიმართულება, ინგლისში დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ბელადების და ფაბიანელების შეხედულებანი, იტალიაში ტურატი და სხ.); მასსები თავის საკუთარ გამოცდილებით რწმუნდებოდენ სულ უფრო და უფრო ბალშევიკების შეხედულებათა სიმართლეში.

მეორე რევოლიუცია რუსეთში (1917 წ. თებერვლიდან ოქტომბრამდე.) ომ მოკიდებულ ცარიზმის წარმოუდგენელმა მოძველებამ გამოიწვია (განუზომელ ტანჯვა-წვალების მომასწავებელ ომის დამაქცევარ სიმძიმის დახმარებით) წარმოუდგენელი სიძლიერე ქცევა-ნგრევისა თავის წინაღმდეგ. რამოდენიმე დღის განმავლობაში რუსეთი გადაიქცა დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკათ, ისეთ თავისუფალ რესპუბლიკათ, რომლის მსგავსი—ომის დროს—არსად არსებობდა. მთავრობის შედგენას შეუდგენ ოპოზიციურ და რევოლიუციურ პარტიების წინამძღოლები—როგორც მიღებულია სასტიკ პარლამენტარულ“ რესპუბლიკებში, ამასთანავე ოპოზიციის ბელადის სახელწოდება პარლამენტში, რაც გინდ რეაქციონური არ ყოფილიყო ეს უკანასკნელი, აადვილებდა ასეთი ბელადის შემდეგ როლს რევოლიუციაში.

მენშევიკებმა და „სოციალისტ-რევოლიუციონერებმა სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში საუცხოვოთ შეითვისეს მთელი ყოფა-ქცევა, ყველა „მანერები“, საბუთები და სოფიზმები ევროპიელ გმირების მე-2 ინტერნაციონალისა, მინისტრობის მოტრფიალეთა და დანარჩენ ოპორტინისტურ ნაყარ-ნუყარის ყოველივე ის, რასაც ახლა ჩვენ ვკითხულობთ შეიდამანების და ნოსკეს შესახებ კაუცკისა და გილფერდინგისა, რენნერისა და აუსტერლიცის, ოტტო ბაუერისა და ფრიც ადლერის, ტურატისა და ლონგეს, ფაბიანელებისა და ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ბელადებისა, ყოველივე ეს გვეჩვენება ჩვენ (და ნამდვილათაც ასეა) ნაცნობ და ძველ ჰანგების მოსაწყენარ განმეორებათ. ყოველივე ამას ჩვენ უკვე გაცნობილი ვართ მენშევიკებში. ისტორიამ იოხუნჯა და აიძულა ჩამორჩენილი ქვეყნის ოპორტუნისტები გაცილებით ადრე შემდგარიყვენ იმ გზაზე, რა გზაც დაადგენ შემდეგ მთელი რიგი მოწინავე ქვეყნების ოპორტონისტები.

მე-2 ინტერნაციონალის ყველა გმირებმა ბანკროტობა განიცადეს და თავი შეირცხვინეს საბჭოების და საბჭოთა ძალაუფლების მნიშვნელობის და როლის საკითხში; განსაკუთრებით „აშკარათ“ თავი შეირცხვინეს და „ჩაფლავდენ“ ამ საკითხში სწორეთ ბელადები იმ სამი მეტათ მნიშვნელოვან პარტიების, რომლებით ახლა უკვე გამოვიდენ მე-2 ინტერნაციონალიდან (სახელდობ გერმანიის დამოუკიდებელი სოც.-დემ. პარტია, საფრანგეთის ლონგეტისტების და ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიები): ისინი აღმოჩნდენ მონები წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიის ცრუ შეხედულებათა*) (სწორედ ისე, როგორც 1848 წლის წვრილი ბურჟუები, რომლებიც თავის-თავს „სოციალ-დემოკრატებს“ უწოდებენ)—მარა ყოველივე ამას ჩვენ უკვე გაცნობილი ვართ მენშევიკების მაგალითზე. ისტორიამ ისე ინება, რომ 1905 წ. რუსეთში დაიბადა საბჭოები, რომ 1917 წლის თებერვალ-ოქტომბერში მათ გაყალბებას ეწეოდენ (фальсифицировали) მენშევიკები, რომლებსაც სრული გაკოტორება ხვდათ სწორეთ მათი როლის და მნიშვნელობის გაუგებლობის გამო, და რომ ახლა მთელს მსოფლიოში დაიბადა საბჭოთა ძალა-უფლების იდეა, რომელიც გაუგონარი სისწრაფით ვრცელდება ყველა ქვეყნების პროლეტარიატში, ამასთანავე მეორე ინტერნაციონალის უწინდელი ბელადები ყველგან ბანკროტობას განიცდიან სწორედ იმის გამო, რომ მათ მსგავსად ჩვენი მენშევიკებისა ვერ გაუგიათ როლი და მნიშვნელობა საბჭოების. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ პროლეტარული რევოლიუციის ზოგიერთ უძირითადეს საკითხებში ყველა ქვეყნებს მოელის აუცილებლად იმის განცდა და იმის გაკეთება, რაც რუსეთმა გააკეთა. თავისი ძლევამოსილი ბრძოლა წინააღმდეგ პარლამენტარული (ფაქტიურათ) ბურჟუაზიული რესპუბლიკისა და წინააღმდეგ მენშევიკებისა ბალშევიკებმა მეტათ ფრთხილად დაიწყეს და არც ისე უბრალოთ ამზადებდენ მას, როგორც ეს აქა-იქ ზოგიერთებს ევროპაში და ამერიკაში ჰგონიათ. ხსენებულ პერიოდის პირველ ხანებში ჩვენ არ მოვუწოდებდით მთავრობის ჩამოსაგდებათ, არამედ ვუხსნიდით მასსებს ასეთი ჩამოგდების შეუძლებობას, თუ წინდაწინ არ შეიცვლებოდა საბჭოების შემადგენლობა და მათი სულის-კვეთება. ჩვენ არ ვუცხადებდით ბოიკოტს ბურჟუაზიულ პარლამენტს, „უჩრედილკას“, არამედ ჩვენი პარტიის აპრილის (1917) კონფერენციიდან მოკიდებული ოფიციალურათ ვაცხადებდით, რომ ბურჟუაზიული რესპუბლიკა უჩრედილკით უკეთესია, ვინემ ასეთივე რესპუბლიკა უუჩრედილკოთ, ხოლო „მუშურ-გლეხური“ საბჭოთა რესპუბლიკა უკეთესია ყოველგვარ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, პარლამენტარულ რესპუბლიკაზე.

ასე ფრთხილად, საფუძვლიანათ, წინდახედულად და ხანგრძლივათ რომ არ მოვმზადებულიყავით, ჩვენ ვერ შევძლებდით ვერც გამარჯვებას 1917 წლის ოქტომბერში, და ვერც ამ გამარჯვების შენარჩუნებას.

(შემდეგი იქნება).

*) Предразсудков.

ვის რეზოლიუციაა არ გასულა. ამხ. ნანეიშვილს არა თუ ლაპარაკის ნება არ მისცეს, არამედ სხვა და სხვა მუშათა ორგანიზაციებმა ის საპატიო თავმჯდომარედაც კი აირჩიეს. შემდეგ კიდევ სტყუის ავტორი, როცა სწერს, ვითომც ბაქოში მუშებს ნახევარი გირვანქა პური ეძლეოდეთ და ისიც უვარგისი, ნამდვილად ეძლევათ სულზე ერთი გირვანქა პური (3 მან. გირ.). ამას გარდა საბჭოთა სახადილოებში კიდევ ეძლევათ ნახევარი გირვანქა პური, სადილი, პირველი და მეორე, და ყოველივე ამაში იხდიან 50 მანეთს. ტყუილია ისიც, ვითომც მუშათა ფართო წრეებში უკმაყოფილება სუფევდეს; არა თუ უკმაყოფილება, არამედ მთელი ბაქოს პროლეტარიატი მწყობრად გამოდის „სუბოტნიკებზე" და სამ-ოთხ საათს თავის ნებით ზედმეტს მუშაობს. ახლა მთელ აზერბაიჯანში ხდება უპარტიო გლეხთა ყრილობები და მხოლოთ დამსწრეს შეუძლია წარმოიდგინოს ის რევოლიუციონური ენტუზიაზმი, რომელიც მათ შორის სუფევს. 25 ივლის ქ. კახახში გაიხსნა უპარტიო გლეხთა ყრილობა, სადაც გლეხკაცობამ ამხ. კარაევის მოწოდებაზე, რომ ჩაეწერონ წითელ არმიაში და დაუჭირონ მხარი საბჭოთა მთავრობას ერთხმათ შესძახა:—უკანასკნელ სისხლის წვეთამდი დავიცავთ საბჭოთა მთავრობასო. აღსანიშნავია ის, რომ ქართველ მენშევიკების აგენტები მუსავატელებთან ერთათ საზიზღარ აგიტაციას ეწევიან ადერბეიჯანის გლეხობაში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ვითომც კომუნისტები აზერბეიჯანიდან ყველაფერს ეზიდებოდენ და რუსეთიდან არაფერი არ შემოქონდესთ, მაგრამ ამ აგიტაციას არავითარი გასავალი არ აქვს. თვით გლეხები ატუსაღებენ საბჭოთა ადერბეიჯანის მტრებს ტ საგანგებო კომისიას აძლევენ ხელში. ასეთია ნამდვილი სიმართლე.

ჩამოსული.

მუშათა ცხოვრება.

მეტყავეთა პროფესიონალურ კავშირში.

მეტყავეთა კავშირის 29 ივნისის საერთო კრებაზე ნათლად გამოირკვა, რომ მენშევიკებს არაფერი საერთო არა აქვთ ამ კავშირის მუშებთან.

ათას კაცში მხოლოდ 5 აღმოჩნდა მენშევიკების მომხრე, ამიტომ კავშირთა სეკრეტარიატის წარმომადგენელი იძულებული შეიქნა კრება დაეტოვებია.

მაგრამ ბ. ჩხენკელს წასვლისას არ დავიწყებია დაესაჯა თავისი მტრები.

მუშათა გამარჯვება მენშევიკებზე დროებითი შეიქმნა. რადგან მათი მოწინააღმდეგე მუშები წარმოადგენენ უმცირესობას (მენშევიკების ანგარიშით) მათ გადასწყვიტეს ამ უმცირესობას დასჯა ძალდატანებით, გადასახლებით და ციხით.

ასეთია მენშევიკების დემოკრატიული საქმიანობა.

ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ფიზიკური ძალა ჩხენკელის მხარეზეა, რომელმაც ამ დღიდან დაიწყო თავისი ბნელი საქმე.

მეტყავეთა კავშირის ლიკვიდაცია და რამოდენიმე ამხანაგის დაქერა, ყველა ეს ბ. ჩხენკელის ენერგიული მოქმედების ნაყოფი იყო.

მაგრამ რა უფლება ქონდა ბ. ჩხენკელს დაეშალა კავშირი და გაერეკა ძველი გამგეობა, როდესაც მან საერთო კრებაზე მხოლოდ 5 ხმა მიიღო?

საერთო კრებამ ხომ ნდობა გამოუცხადა ძველ გამგეობას.

მაგრამ უფლებებზე ლაპარაკი ზედმეტია. ძალა აღმართსა ხნავს.

თუ მუშები და მათი წარმომადგენლები ბევრს ილაპარაკებენ ამის საწინააღმდეგო, საშუალებაც ხომ მოეძებნებათ. მხოლოდ „ნეტარ ხსენებულ" წარსულ დროს ახსოვს პროფესიონალურ კავშირის ასე აბუჩათ აგდება. და მათი ხელმძღვანელ რევოლიუციონურ მუშების გადასახლება და ციხეში მოთავსება.

უმგვანო ბნელი საშუალებით დაასაფლავეს მენშევიკებმა მეტყავეთა ძველი კავშირი.

მაგრამ ისინი სცდებიან თუ ფიქრობენ სამუდამოთ ჩაკლენ მეტყავეთა კავშირის მუშების რევოლიუციონური სულის კვეთება. დადგება დრო და ეს მეტყავეთა კავშირის მუშების დამარცხება გამარჯვებით შეიცვლება.

აშ.

საზღვარ-გარეთ.

უმუშევრობა გერმანიაში.

უმუშევართა რიცხვი გერმანიაში გაიზარდა 3 მილიონ 120 ათასამდე, იმ დროს, როდესაც ივნისის დასაწყისში ითვლებოდა 210 ათასი. არ აიხსნება იმით, რომ სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობა ძალზე შემცირდა.

სერბიის მუშების ბრძოლა მყვლეფელებთან.

სერბიის მუშათა სინდიკატმა გააცნეს ყველა მცხოვრებლებს საყოველთაო რკინის გზის გაფიცვის გამოცხადება სერბიაში, ვინაიდან მთავრობას არ სურს დააკმაყოფილოს მუშათა მოთხოვნილება ჯამაგირების გადიდების შესახებ.

მუშაობა მდგომარეობა ინდოეთში.

გაზეთი „მინჩესტერ გარდენი" აქვეყნებს ინგლეთის მუშათა კავშირის მდივნის წერილს, რომელიც ნათლად გვისურათებს მუშათა კლასის გაღატაკებულ მდგომარეობას ინდოეთში. სამუშაო დღე გრძელდება 12 საათს, სამუშაო ქირა ქანაობს 25 და 50 კ. ყველა ^ ქარხნები და ფაბრიკები რასაკვირველია ინგლისის კაპიტალისტების ხელშია. თითქმის ქარხნების დიდი უმრავლესობის გამგეობებიც კი ლონდონშია. მთელი მოგება და შემოსავალი, რომელსაც ღებულობენ გაუბედურებულ პროლეღარიატისაგან, გააქვთ გაღატაკებულ ინდოეთიდან ინგლისში. მოგება ძალიან დიდია 200—300 პროცენტი. ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ გაფიცვები ინდოეთში იზრდება და მეტის მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს. ინდოეთის მთავრობამ იცის მხოლოდ ერთი საშუალება გადასარჩენათ გაუშვას ხმარებაში ვანტოვკები და ტყვიისმფრქვეველები.

ინგლისის და ინდოეთის პროლეტარიატის მდგომარეობა.

ტრედ-უნიონების და პროფესიონალურ კავშირების კონგრესმა გლაზგოში, იცნორა ინგლისის და ინდოეთის პროლეტარიატის ინტერესების სრული სოლიდარობა, მიიღო რეზოლიუცია, რათა გამოიმუშაოს აქტიური ზომები ინდოეთის პროლეტარიატის დასახმარებლად.

პროვინციის ცხოვრება

ს. ხუნწი

ს. ქვედა ხუნწში (სენაკის მაზრა) დაარსდა თემი, რომელიც უნდა ყოფილიყო ხალხის სურვილების გამძღოლი. დღიდან თემის დაარსებისა მას თავმჯდომარეობს ბ. ალექსანდრე შონიავა. როდესაც თემი დაარსდა, ხალხი ამბობდა, აწი რაგვიშავს თემს ველირსეთ და ჩვენი საქმეს თვითონ ჩვენ გავუძღობითო. ძველათ ამ სოფელში არსებობდა სკოლა, კოოპერატივი, გზებიც შეკეთებული იყო. რაც ამ სოფლის ბედ იღბალი თემმა ჩაიბარა, ძველი სკოლის შენობა გაიყიდა ახალის შენობა, დეიწყენ, მაგრამ ვინაიდან სოფელს სუსტი გამგეობა ყავდა, ნახევრამდი ააშენეს და მიანებეს თავი. რაც შეეხება კოოპერატივს, ის დაიკეტა. გზები და ბოგირები ამ სოფელში მთლად გაფუჭებულია. შეეკითხე ხალხს, თუ რისთვის არის ასე გაფუჭებული გზა და ხიდეები. მიპასუხენ ნაღვლიანი კილოთი: ჩვენ ყოველ გამოძახილზე მზათა ვართო, მხოლოთ თემის გამგეობა არავითარი ზომას არ ღებულობსო, ამ სოფელში არ არის სამკითხველო. მე მქონია ხშირი შემთხვევა იმისი რომ, როდესაც ჩავიდოდი ს. ხუნწში ცნობის მოყვარული ხალხი შემომეხვეოდა და ძველი გაზეთსა მთხოვდენ. ხალხი სწუხდა: პატრონი არა გვყავს თორემ ყოველ თემებში არის სამკითხველო და ჩვენ რა დავაშავეთო. აქ წელიწადში ერთხელ არ წაიკითხავს ვინმე ლექციას არ გამართავს წარმოდგენებს; ამაზე ხალხი ძალიანი გულ დაწყვეტილია, სამაგიეროთ აქ არის გამეფებული ბანქო-ნარდის თამაში და ქურდობა. ვერ ნახავთ კულტურულათ ჩამორჩენილ ისეთ სოფელს, როგორც არის ს. ხუნწი. ამაში ბრალი მიუძღვის ბ. თემის თავმჯდომარეს ა. შონიავას. ადმინისტრატორს ქიქავას და მდივანს რევიას და თუ ასე გასტანა, ერთი წლის შემდეგ სოფელს დიდი შრომა დასჭირდება.

ხუნწელი მუშა

ნერილი ციხიდან.

გამარჯვებულ „დანოსჩიკ" ვინ-ს.

მოკლე პასუხი.

გახარებთ ბ-ნო ვინ-ო! „ერთობის" მე-155 ნომერში მოთავსებულმა თქვენმა „დანოსმა" „სასურველი ნაყოფი გამოიღო. თქვენმა „უფროსებმა" ყურად იღეს იგი და დღეს მე საპყრობილეში ვზივარ.

იქ სადაც ამ რამოდენიმე კვირის წინ მოათავსეს თქვენი და თქვენი მეგობრების მოღვაწეობის წყალობით ჩემი ამხანაგი და რედაქციის პირველი მდივანი თენგიზ ჯღენტი.

და, მერწმუნეთ, ვინო, მხოლოდ ამიტომ გაძლევთ ამ პატარა პასუხს, თორემ ყურადღებას არ მოგაქცევდით, რადგან ამისი ღირსი თქვენ არა ხართ.

მოწინააღმდეგის პირადი გინება და ლანძღვა არას დროს არ მჩვევია და არც ახლა ვიქ. ამას, მით უმეტეს, როდესაც თქვენისთანებთან მაქვს საქმე.

გასწავლით კი მწერლობის ეთიკის ანბანს: 1) როდესაც მოწინააღმდეგის პირადობას ეხებიან თავს ფსევდონიმს არ აფარვენ და 2) ადმინისტრაციის მიერ დევნილ პარტიის გაზეთების თანამშრომელთა სახელ და გვარებს საჯაროდ არ აქვეყნებენ ე. ი. მწერლობას საჯაშუშო აგენტურად არ აქცევენ.

თქვენ, რასაკვირველია, შეგიძლიათ ამას ყურადღება არ მიაქციოთ და განაგრძოთ თქვენი „კეთილშობლური" თანამშრომლობა „ერთობის" ფურცლებზე და კიდევ სხვა „შესაფერ" დაწესებულებებში. ღმერთმა მოგიმართოთ ხელი!!

მე კი, ჩემის მხრივ, სიხარულით ვეგებები თქვენს გამოსვლას: როდესაც თქვენისთანა „მწერლები" თქვენისთა „სამწერლო მეთოდებით" გამოდიან ჩვენ წინააღმდეგ; მე ვამბობ: მოწინააღმდეგე იხრწნება: ჩვენი, კომუნისტების საქმე კარგად არის; ვიაროთ, ამხანაგებო, ნაცადი გზით.

ვალია ბახთაძე.

ქუთაისის საგუბერნიო ციხე. 26 ივლისს, 1920 წელს.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ეველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„ახ. კომ.", როგორც მუშათ. კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა იც რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „საქ. კომ." რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანიზაციას აწვება.

ცენტრალური კომიტეტი.

სომხეთში

მაისის აჯანყების შემდეგ ქ. დელეჟანში გაგზავნილი იყო გენერალ ახალქალაბოვის რაზმი მცხოვრებთა დასაწყნარებლად. რაზმი თავისი ხელმძღვანელებით საშინელ მხეცობას იჩენდა—დაიჭირეს პოდპორუჩიკი აკოპჯანოვი და ადგილზევე დაგლიჯეს; მას აბრალებდენ სამხედრო რევოლიუციონური შტაბის ხელმძღვანელობას და ჯარის აჯანყებას.

სამხედრო რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ენოქი მკრტუმიანი იყო დაჭერილი და გადასცეს საგანგებო სასამართლოს. მას დახვრეტა გადაუწყვიტეს, მაგრამ მთავრობამ შეუცვალა გადაწყვეტილება სამუდამო კატორღით, ამის მერე ის გზაზე უკანიდან სროლით მოკლეს „მაუზერისტებმა".

ასეთივე ბედი ეწვიათ „მაუზერისტების" წყალობით ამხ. ალექსეევს და ვოგენაკ ოსეპიანცს.

X.

კომუნისტების დევნა გრძელდება.

29 ივლისს სოფ. შულავერში და ოპრეტოში მოხდა რაიონის კომისარ ვაჩნაძის მეთაურობით რაიონულ ბიუროებზე თავდასხმა. ერთგულმა კომისარმა ჩხრეკა მოახდინა და შემდეგ ჩხრეკის დროს რომ ვერაფერი აღმოაჩინა ორივე რაიონული ბიუროები ლუქებით დაბეჭდეს. შეუდგენ პასუხისმგებელ ამხანაგების ძებნას და კიდეც მიახწიეს მიზანს. დააპატიმრეს რაიონულ კომიტეტის წევრები გარეგინ ტერაკოპოვი, ზ. ზარგაროვი, ჯავახოვი და უბრალო პარტიის წევრი ერეციანი.

როდესაც ამხანაგ მაგდალასოვთან მივიდენ სახლში, და ის იქ არ დაუხვდათ, მაშინათვე სამაგიეროთ დააპატიმრეს მისი მამა მოხუცი, რომელსაც ბატონ კომისარმა განუცხადა: სანამ არ გამოცხადდება თქვენი შვილი, მანამდის არ გაგანთავისუფლებთო. ამხ. მაგდალასოვის სახლის გაჩხრეკის დროს წაიღეს ცენზურას ნება დართული ლიტერატურა და კარლ მარქსის სურათიც. მიღებული აქვთ ზომები სხვა ამხანაგებისთვისაც, რომლებსაც სასტიკათ ეძებენ. ყველა ამის შემდეგ რაიონის კომისარმა დაადგინა შეუყენოს ოქმი ზემოთ ხსენებულ დაპატიმრებულ ამხანაგებს. ბრალდებათ წამოუყენეს, რომ ისინი ვითომ პროპაგანდას ეწეოდენ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

ამხანაგი.

ჩვენი პროკურორების საყურადღებოთ.

(საქართ. კომ. პარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის განცხადება).

1. სოხუმის საოლქო კომიტეტს კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის ამბავი მოუვიდა მხოლოდ შუა ივნისში, რის შემდეგ დაიწყო მთელს ოლქში ყველა სამხედრო-რევოლიუც. კომიტეტების და მზგავსი ორგანიზაციების ლიკვიდაცია. ყველა მანდატები, რომელიც მოხსენებულია დეპეშათა სააგენტოს „ცნობაში" გაცემულია სოხუმის საოლქო კომიტეტის მიერ ლეგალიზაციამდე, ამას მოწმობს „ცნობაში" აღნიშნული თარიღებიც.

2. ამხ. კუხალეიშვილის ბინაზე აღმოჩენილი ბომბები და იარაღი შეძენილია დიდი ხნის უკან, როცა ჩვენ იატაკქვეშ ვიყავით და მთავრობის წინააღმდეგ იარაღით გამოსვლების ტაქტიკას ვადექით.

3. თითქმის 10 ივლისამდე, როცა მე ჩავედი სოხუმში და პირადათ გავაკეთე მოხსენება, სოხ. საოლქო კომიტეტებმა არც კი იცოდა, რომ არალეგალური მუშაობა აკრძალულია. სოხუმის წარმომადგენელი პარტიულ თათბირს 28—9 მაისს შემთხვევით ვერ დაესწრო და ინფორმაცია ამიტომ სრული არ ქონებია კომიტეტს. ადგილობრივ კი ისეთი პირობები იყო და არის შექმნილი ადმინისტრაციის მიერ, რომ ლეგალურ მუშაობას არავინ გვანებებდა.

4. გარდა „ცნობაში" დასახელებულ ამხანაგებისა, სოხუმის ციხეში იმყოფებიან ამ ჟამათ სხვა ამხანაგებიც: ევანია, ბოკუჩავა, ვიგრანოვ და სხ.

სოხუმის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე **კ. ბატრახოვი.**

ჩვენი ფოსტა

ხუნწელ მუშას. გამოგზავნეთ ხშირ-ხშირათ კორესპონდენციები ადგილობრივი მიწის მუშების ცხოვრებიდან. გაზეთი გამოგეგზავნებათ. გვაცნობეთ ადრესი:

დრ. რედაქტორი:
დიმიტრი ჯორბენაძე.

უწყებანი:

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დიას დიდის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

ამხანაგების საყურადღებოთ!

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსოვეტის სადგომში. მიღება ყოველ დღე დიდის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დიას დიდის 10 ნახ. საათადან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. საღაც შეეხსნოვის სამკითხველოს.

ბიურო დიას საღამოობით 5—7 ნახ. საათამდე.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებით გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზდათა კომუნისტური პარტიისა.

რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

დაბეჭდილია საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საწევრო წიგნაკი №18. გიორგი ნესტოროვი. დღიურ გაზეთში გამოცხადებისა ჩაითვლება გაუქმებულათ.

ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დიალექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
12. ნ. ბუხარინი—პროგრამა კომუნისტებისა (ბალშევიკების).
13. პარტიული წესდება.

ტამბა „ეკონომია" დიდი ვანქის ქ. 3.